ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მაკა კეწელაშვილი

საკურორტო სასტუმროების განვითარების თავისებურებები კახეთის რეგიონში

პროგრამა: საზოგადოებრივი გეოგრაფია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ნინო პავლიაშვილი

თბილისი

2018 წ.

ანოტაცია

ტურიზმის სფერო საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია. წლიდან წლამდე იგი ზრდის მეტი და მეტი მაჩვენებლით ხასიათდება და ამავდროულად ძალიან პერსპექტიულია. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მაჩვენებელმა 2016 წელს მსოფლიო ტურიზმის მაჩვენებელსაც კი გაუსწრო. გამომდინარე აქედან, ნებისმიერი კვლევა, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმთან, პრიორიტეტული და აქტუალურია.

ზოგადად, არამარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც, პოტენციური ტურისტული რესურსების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა ათვისებული. ტურიზმს მთელს მსოფლიოში უნიკალური და მყიფე რესურსები იზიდავს. იგულისხმება, რომ ტურიზმი მავნე ზეგავლენას ახდენს გარემოზე და იმის სანაცვლოდ რომ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი, აზიანებს ბუნებას. სწორედ რესურსების კვლევა და მათი სისტემაში მოყვანა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის და ასევე ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის, რაც გულისხმობს რომ ბუნებისადმი მიყენებული შედეგები იყოს მინიმუმამდე დაყვანილი.

შევეცადე ჩემს ნაშრომში დეტალურად განმეხილა კახეთის ტურიზმი, ამეღწერა მასში მიმდინარე პროცესები და ახლებურად გადმომეცა არსებული პრობლემების გადაჭრის გზები. ეს ყოველივე ჩვენს თანამედროვეობაში აქტუალური თემაა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს არც თუ ისე მდგრადი ეკონომიკა გააჩნია და ტურიზმი მნიშვნელოვან ამინდს ქმნის ეკონომიკაში. კახეთის რეგიონი კი მნიშვნელოვანი ტურისტული დესტინაცია ანუ დანიშნულების ადგილია, როგორც ადგილობრივი ტურისტების, ისე უცხოელთათვის.

Annotation

The tourism sector is an important part of the Georgian economy. From year to year it increases with more and more indicators and at the same time is very promising. According to official data, the country's rate in 2016 even surpasses the global tourism index.

In general, not only in Georgia but in the world, only a small number of potential tourist resources is used. Tourism attracts unique and fragile resources in the whole world. It means that tourism has a negative effect on the environment, and in return for economic benefits, damages nature. It is very important to research the resources and put them into their system for the economy of our country as well as for the sustainable development of tourism, which implies that the effects of nature are minimized.

I have tried to get detailed information about Kakheti tourism in my work, to deliver the ongoing processes and ways to solve existing problems. All of this is an important issue in our modernity, since Georgia has no sustainable economy and tourism creates an important environment in the economy. Kakheti region is a significant tourist destination, which is the destination for local tourists and foreigners

სარჩევი

ანოტაცია ---------- 2

Annotation ---------- 3

სარჩევი ---------- 4

შესავალი ---------- 5

თავი 1. ტურიზმის განვითარების ისტორია საქართველოში ---------- 7

თავი 1.1. ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები ---------- 10

თავი 2. სასტუმრო ინდუსტრია, მისი კონცეფცია და თეორიები ---------- 12

თავი 3. კახეთი - ზოგადი მიმოხილვა ---------- 20

თავი 3.1 ადმინისტრაციული დაყოფა და ზოგადი ცნობები ---------- 22

თავი 3.2 მეღვინეობა - კახეთის სავიზიტო ბარათი ---------- 23

თავი 4. საკურორტო სასტუმროები კახეთში ---------- 24

თავი 4.1 საკურორტო სასტუმროების განვითარების თავისებურებანი კახეთში - 35

თავი 4.2 კვლევა საკურორტო სასტუმროთა შესახებ ---------- 38

დასკვნა ---------- 42

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ---------- 44

დანართები ---------- 46

შესავალი

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრია ამჟამად ზრდის კარგი ტემპებით ხასიათდება. იგი ეკონომიკის წამყვანი დარგია. გამომდინარე აქედან, ტურიზმის სფეროს კვლევა ძალიან მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და აქტუალური ამოცანაა მეცნიერებისთვის, ისევე როგორც ტურიზმის სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის. სწორად დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი სფეროს ნორმალური ფუნქციონირება და ტურიზმიც არაა გამონაკლისი.

რეგიონი მიმზიდველ ტურისტულ ატრაქციად რომ იქცეს, რამდენიმე ფაქტორს უნდა აკმაყოფილებდეს - უნდა ქონდეს ხელსაყრელი ჰავა, მიმზიდველი პეიზაჟები, სტუმართმოყვარე ხალხი, ანთროპოგენური თუ ბუნებრივი რესურსების დიდი არჩევანი, განთავსების საშუალებების არსებობა, პოლიტიკური სტაბილურობა, ტურისტების ძირითადი გენერატორი ქვეყნების მისადგომობა და სხვა. კახეთი ამ ჩამონათვალიდან თითქმის ყველას აკმაყოფილებს და ეს ანიჭებს მას უპირატესობას საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. რეგიონში უამრავი ტურისტული ატრაქციაა. ზოგადად ტურისტული ატრაქციები ტურიზმის არსს წარმოადგენენ. ისინი იზიდავენ ვიზიტორებს და ქმნიან ინდუსტრიას.

ჩემი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ფართობით ყველაზე დიდი რეგიონის - კახეთის ტურიზმი და იქ არსებული საკურორტო ტიპის სასტუმროების კვლევა. თემის ხელმძღვანელთან და სასტუმროს მენეჯერებთან შეთანხმებით შედგა კითხვარები, რომლებიც დაეგზავნათ სასტუმროებს. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთდა ცხრილები და დიაგრამები, რაც იძლევა საშუალებას ვიზუალურად მარტივად აღსაქმელი ყოფილიყო ინფორმაცია სასტუმროთა შესახებ. ინტერვიუირების მეთოდის გარდა, ნაშრომში გამოყენებული იქნა ლიტერატურული, შედარების, სტატისტიკური და ანალიზის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ნაშრომის ძირითადი მიზნის განხორციელება.

ნაშრომი ემსახურება კახეთის რეგიონის, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული ატრაქციის განხილვას, ტურიზმის სფეროში არსებული სიტუაციის და იქ მიმდინარე

პრობლემებზე მსჯელობას, რამეთუ, სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენის გარეშე მათი აღმოფხვრა შეუძლებელია.

პირველ თავში განხილული მაქვს ტურიზმის განვითარები ისტორია და აქვეა არსებული პრობლემები.

მომდევნო თავი ეთმობა სასტუმრო ინდუსტრიის კონცეფციის და თეორიების განმარტებებს ფილიპინელი მეცნიერის ტიტო ანტონიო ოფილადასა (Tito Antonio Ofilada, Jr. Senior Lecturer at University of the Philippines Diliman Extension Program in Pampanga) და ბულგარელი მეცნიერის დიმიტარ სტოიანოვის (Dimitar Stoyanov, Bulgarian Academy of Sciences | BAS · Emil Djakov Institute of Electronics, Professor, Dr.Sci, PhD) ნაშრომების მიხედვით.

კახეთზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მესამე თავი მცირე მიმოხილვას დავუთმე, სადაც ასევე განხილული მაქვს მეღვინეობა, როგორც კახეთის სავიზიტო ბარათი, ტურიზმის ერთ-ერთი მამოძრავებელი ღერძი, რადგან კახეთში მოგზაურობის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი სწორედ ღვინის ტურიზმი გახლავთ ხოლმე.

ბოლო ძირითად თავში განხილულია საკურორტო სასტუმროები კახეთის რეგიონში, თავიანთი მოკლე დახასიათებებით. სასტუმროთა ძირითადი მახასიათებლები გავაერთიანე ცხრილში (წარმოდგენილია დანართში ცხრილი N:4, გვ.49), რათა მარტივი აღსაქმელი ყოფილიყო მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება. მომდევნო ქვეთავი კი დათმობილი აქვს სასტუმროთა ძირითად თავისებურებებს. აქვე მომდევნო ქვეთავად არის ნაშრომის ძირითადი ნაწილი - კვლევა, რომელშიც ცხრილების და დიაგრამების სახით წარმოდგენილია ძირითადი ინფორმაცია.

გეოსაინფორმაციო სისტემების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მოხდა კვლევისთვის საინტერესო სასტუმროების რუკაზე გადატანა, რომელიც მოცემულია დანართში (გვ.63).

ნებისმიერი კვლევა, რომელიც ემსახურება ტურიზმის სფეროს, აქტუალურია დღევანდელი დღეს საქართველოში, მითუმეტეს კი ისეთი მზარდი სფეროს კვლევა, როგორიც სასტუმროთა ინდუსტრიაა.

თავი 1. ტურიზმის განვითარების ისტორია საქართველოში

ტურიზმი კლასიკური განმარტების მიხედვით დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს-მიზნებით მოგზაურობას ნიშნავს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურისტებს შემდეგნაირად განმარტავს: „ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით. მნიშვნელოვანია, რომ იგი დანიშნულების ადგილზე არ უნდა გამოიმუშავებდეს თანხას“.

ტურიზმი ბევრი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, მათ შორის საქართველოცაა, ხოლო ბევრ განვითარებად და ნაკლებადგანვითარებად ქვეყანაში ტურიზმი შემოსავლის ძირითადი წყაროა.

საქართველოში ტურიზმის განვითარება მასშტაბურ ხასიათს 20-ე საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლებიდან იღებს. ამ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა კეთილმოწყობილი ტურისტული ბაზები და სასტუმროები თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, ვარძიაში და სხვა. დაიწყო აღმშენებლობის პროცესი გაგრაში, ქობულეთში, აბასთუმანში, წყალტუბოში და სხვა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში აღირიცხებოდა 624 სასტუმრო, ტურისტული ბაზა, მოტელი, კემპინგი და სხვა მსგავსი დაწესებულება, რაც ჯამში 1522 ათას ადგილს შეადგენდა. ეს მონაცემები მაშინ უკვე მეტყველებდა საქართველოს დიდ ტურისტულ პოტენციალზე. მაშინდელი პერიოდის ტურიზმი თავისი ფორმით და

შინაარსით წარსულს ჩაბარდა. თუმცა საზოგადოებაში დატოვა ბევრი არასწორი შეხედულება და სტერეოტიპი.

ამჟამად საქართველოში ტურიზმი თვისობრივად ახალ სისტემაზე გადადის და ამ გარდამავალ ეტაპზე მას მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება. ჩვენს ქვეყანას გააჩნია უდიდესი ტურისტული და საკურორტო პოტენციალი. ახლა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო აღიქმება როგორც ახალი, ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანა და მისი აღმოჩენა საინტერესოა სიახლეების მოყვარული ტურისტებისთვის. ქვეყნის მონახულების სურვილს ამძაფრებს 1999 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც დმანისში აღმოჩნდა პალეოლითური ხანის ადამიანის ჩონჩხის ფრაგმენტი, რომელიც 1 მილიონ 700 ათასი წლით თარიღდება. ამ აღმოჩენით საქართველო პირველი ევროპელის სამშობლო გახდა.

არსებითად ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა სისტემური ხასიათისაა და დამოკიდებულია როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკური ფაქტორების გამოყენების ფორმაზე და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების თვისებურებებზე. საქართველოსნაირი ბუნებრივად მდიდარი ქვეყანა, სადაც 12 000 ისტორიული ძეგლი, 150 მუზეუმი და სხვა მრავალი საგანძურია, არც ისეთ ხშირ შემთხვევას წარმოადგენს და სწორედ ამიტომ დაინტერესებული ვიზიტორების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. საქართველო ოდითგანვე ცნობილია თავისი ბუნებრივი სამკურნალო პირობებითა და პოტენციალით, ამჟამად კურორტების რიცხვი 103-ს აღწევს, ხოლო 184 საკურორტო ადგილია. კურორტების ძირითადი ნაწილი ზღვის პირას და მთიან რეგიონებში მდებარეობს.

საქართველოზე რეკლამები გადის ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, ხდება უცხო ქვეყნებისთვის საქართველოზე ინფორმაციის მიწოდება, შედეგები კი აისახება ტურისტების რაოდენობაზე. ასე მაგალითად, 2016 წელს საერთაშორისო მარკეტინგულ აქტივობებში 22,540 მლნ. ლარი დაიხარჯა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლის ანგარიში, 2018). ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, საქართველოს ეწვია:

- ✓ 590 ჟურნალისტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან;
- ✓ 275 ტუროპერატორი;
- ✓ 660 სტატია გამოქვეყნდა საერთაშორისო მედიაში;

გარდა ამისა მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი ინტერნეტ-სარეკლამო კამპანია TripAdvisor-ზე (მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურისტული პორტალი), რომელმაც 10 ქვეყანა მოიცვა. ესენია: აზერბაიჯანი, გერმანია, ისრაელი, იტალია, პოლონეთი, თურქეთი, სომხეთი, ყაზახეთი, რუსეთი, უკრაინა. ასევე ეწყობა ტურიზმის საერთაშორისო გამოფენები, მიმდინარეობს ინტერნეტ-მარკეტინგული კამპანიები, სატელევიზიო რეკლამები, გადაცემები, დოკუმენტური ფილმები და სიუჟეტები საქართველოზე. ინტერნეტ-კამპანიამ „CHECK in GEORGIA" მოიცვა 16 ქვეყანა (პოლონეთი, ბელარუსი, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, თურქეთი, ისრაელი, სომხეთი, ლიტვა, ლატვია, იტალია, გერმანია, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ყაზახეთი) და ჰქონდა 321 081 854 ნახვა (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლის ანგარიში, 2018).

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა საერთაშორისო შემოსვლების წილი. 2016 წელს ამ რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს 6350825-ს მიაღწია. ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 2714773 შეადგინა, რაც 432802-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე (ზრდა+19%). შედეგად, მათი წილი ვიზიტების საერთო რაოდენობაში 42.7%-მდე გაიზარდა.

რაც შეეხება საერთაშორისო ვიზიტების სხვა ტიპებს, საერთო რაოდენობის 36.5% ერთდღიან ვიზიტებს შეადგენდა, ხოლო ვიზიტების 20.8% ტრანზიტის მიზნით შესრულდა. საერთაშორისო შემოსვლების უმეტესი წილი - 83.6% (5,310,974) მეზობელი ქვეყნებიდან-თურქეთი, რუსეთი, სასომხეთი, აზერბაიჯანი, განხორციელდა, მხოლოდ 16.4% (1,039,851) შემოვიდა სხვა ქვეყნებიდან. 2016 წლის ჯამური მონაცემებით ლიდერი აზერბაიჯანია 1,523,075 ვიზიტით (ზრდა +9.3%). ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტების რაოდენობამ 2016 წელს 263,076 შეადგინა. ევროპელი მოგზაურების წილი მთლიან რაოდენობაში 4.1%-ია, ხოლო ზრდა წინა წელთან შედარებით +8.6%. საქართველოში

საერთაშორისო შემოსვლების უმრავლესობა 82% (5,181,658) სახმელეთო ტრანსპორტის მეშვეობით განხორციელდა, შემდეგ არის საჰაერო ტრანსპორტი 1,066,378 (17%). ყველაზე დატვირთული საზღვარია სარფი 1,262,359 ვიზიტით (მთლიანი საზღვრის კვეთების 20%). მას -18%-ით სადახლო და 18%-ით წითელი ხიდი მოსდევს.

2016 წლის მდგომარეობით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,765 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 57,049. ამ მონაცემით ლიდერობს თბილისი 14,837 (26%) საწოლი ადგილით, მას მოსდევს აჭარის რეგიონი - 11,615 (20%) რაოდენობით. კახეთის რეგიონი მეშვიდეა თბილისის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის და გურიის შემდეგ. აქ 132 განთავსების ადგილში 3101 საწოლი ადგილია დაფიქსირებული (ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლის ანგარიში, 2018).

თავი 1.1. ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემები

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები მეტყველებს, რომ ტურიზმი კახეთის რეგიონში საკმაოდ განვითარებულია, თუმცა მაინც, ამის მიუხედავად, ბევრი პრობლემური საკითხია და უკეთესი მიმართულებით მისი განვითარებითვის საჭიროა ცვლილებების განხორცილება, როგორც მასში ჩართული ადამიანების, ისე სახელმწიფოს მხრიდან. ამჟამად დგას რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, და ეს პრობლემები არა მხოლოდ კახეთს, არამედ მთელს საქართველოს ეხება, კერძოდ:

- ✓ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა - დღეისთვის ნორმალური ინფრასტუქტურა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით სულ რამდენიმე ადგილასაა, კერძოდ თბილისში, ბათუმში, ბაკურიანში, ისიც არასაკმარისი დონის. ძირითადი პრობლემებია: გზა, ტრანსპორტი, საზოგადოებრივი ტუალეტების მოუწესრიგებლობა და ბევრგან არარსებობა;

- ✓ მომსახურების დაბალი დონე - უნდა მოხდეს ტურისტული მომსახურების მომხმარებელთა და მწარმოებელთა ინტერესის დაცვა და მოსახურების დონის ამაღლება;
- ✓ ტურისტთა უსაფრთხოების პრობლემა - არის რამდენიმე ფაქტორი, რაც უკავშირდება ტურისტთა უსაფრთხოებას. დაინიშნა უშუალოდ ტურისტთა უსაფრთხოებაზე მომუშავე პატრულები, რომლებიც მხოლოდ დედაქალაქში, ტურისტულ ადგილებზე მოძრაობენ. საჭიროა მსგავსი პრაქტიკის დანერგვა სხვა რეგიონებშიც;
- ✓ ტურისტული სტანდარტების დაუცველობა - უნდა მოხდეს სტანდარტების დაცვა და მათი გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ✓ არაკვალიფიციური მომსახურე პერსონალი - საჭიროა კადრების მომზადება სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე;
- ✓ დარგის სამართლებრივი უზრუნველყოფის უგულვებელყოფა - გულისხმობს იმ კანონების დახვეწას, რომლებიც არეგულირებს ტურისტულ საქმიანობას. უნდა მოხდეს თანამედროვე სტანდარტებით მუშაობის უზრუნველიყოფა;
- ✓ ტურიზმის დარგში ინვესტიციის ნაკლებობა - მეტი ინვესტიციის მოზიდვა და პოტენციური ინვესტორებისთვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა;
- ✓ საგადასახადო პოლიტიკა - საჭიროა მეტი ლიბერალიზაცია ტურიზმის სფეროში;
- ✓ ეკოპოლიტიკის განუხორციელებლობა სახელმწიფოს მხრიდან - აუცილებელია ბუნებისათვის ტურიზმით მიყენებული ზიანის მაქსიმალური გაუვნებელყობა, მოვლა და დაცვა.

როგორც ამ თავიდან შევიტყვეთ, მიუხედავად იმისა რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, განვითარების ასევე არცთუ ისე დიდი შესაძლებლობებით, ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში არსებობის და განვითარების მრავალ წელს ითვლის და მიუხედავად მრავალი პრობლემისა, განვითარების კიდევ უფრო ფართო პერსპექტივა აქვს.

თავი 2. სასტუმრო ინდუსტრია, მისი კონცეფცია და თეორიები

სასტუმრო ინდუსტრია, როგორც ეკონომიკის სექტორი, რომელიც მოიცავს თანამედროვე სასტუმრო პროდუქტის წარმოებას, წინ წაწევასა და რეალიზაციას, ჩამოყალიბდა XX ს. მეორე ნახევარში. ამრიგად, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო კარდინალური ცვლილებები სასტუმრო ბიზნესში. თუ XIX-XX ს. დასაწყისში სასტუმრო ჯერ კიდევ ინდივიდუალური საოჯახო საწარმოა, თანამედროვე სასტუმრო - სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსია, რომელიც რთულ სამეურნეო და მმართველობით ფუნქციებს ასრულებს. სასტუმრო მომსახურების სფეროს ინდუსტრიალიზაციის შედეგად შეიქმნა მსხვილი, ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილი სასტუმრო კომპლექსები, კორპორაციები, ქსელები, რომლებიც აერთიანებენ ათასობით სასტუმროს მთელ მსოფლიოში. ისინი უზრუნველყოფენ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის მაღალ დონეს, ტურისტული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებასა და გავრცელებას. მცირე, ე.წ. საოჯახო სასტუმროებმა, ტურისტული ბაზრის „მეორე პლანზე“ გადაინაცვლა და დაიკავა თავისი მოცულობისა და პოტენციალის შესაბამისი მარკეტინგული ნიშა. სერიოზული ევოლუციური ცვლილებები განიცადა არა მხოლოდ სასტუმროთა მართვის პრინციპებმა და მეთოდებმა, არამედ თვით სასტუმრო პროდუქტმაც. იგი გახდა მაღალტექნოლოგიური და მომხმარებელზე სრულად ორიენტირებული. თანამედროვე სასტუმრო საწარმოები მკაცრი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირებენ. კონკურენციას კიდევ უფრო ამწვავებს მათი შთანთქმისა და კონსოლიდაციის სტრატეგიის განვითარება, ახალი კომპანიების გამოჩენა, ბაზრის სეგმენტაციის პროგრესული მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენება. კომპანიების გაერთიანება აძლევთ მათ მთელ რიგ უპირატესობებს - საბაზრო წილის გაზრდის, ახალი სეგმენტების მოპოვების, მარკეტინგული დანახარჯების შემცირების, კორპორაციული პროგრამების შემუშავების, სასტუმრო პროდუქტების წინ წაწევისა და კადრების მომზადების საშუალებას. თანამედროვე სასტუმრო - ტურისტთა განთავსების კოლექტიური საშუალებაა ერთიანი ხელმძღვანელობით, ნომრების განსაზღვრული რაოდენობით, დაჯგუფებული კატეგორიებად მომსახურების სპექტრის, დონისა და

სასტუმროს მოწყობილობის შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ სასტუმროთა საქმიანობით მრავალი სუბიექტი - ფიზიკური და იურიდიული პირები, სახელმწიფოცაა დაინტერესებული (აბულაძე, 2015).

თანამედროვე სასტუმროთა ისტორია დაიწყო სპეციალიზებული სასტუმროებით ბიზნესმენებისათვის, რომელთა თითოეულ ნომერს ჰქონდა თავისი სააბაზანო და ტუალეტი, ტელეფონი, კარების ინდივიდუალური საკეტი. პირველი მათგანი გასული საუკუნის დასაწყისში, 1908 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატების ქალაქ ბაფალოში გაიხსნა.

ამ სიახლეების ავტორი იყო აღნიშნული სასტუმროების მფლობელი, სასტუმრო ბიზნესის ცნობილი სპეციალისტი და ორგანიზატორი, სასტუმრო მარკეტინგის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი, ამერიკელი ელსუორთ სტატლერი. ამის შემდეგ კი უკვე საუკუნის თავზე სასტუმროთა ბიზნესი ისეთ ფაზაშია შესული, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებშიც, სრულიად წარმოუდგენელი პროექტები ხორციელდება (აბულაძე, 2015).

საკოფერენციო და საკურორტო სასტუმროები ისეთ სასტუმროებს წარმოადგენენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მოიცავენ ყველაფრით აღჭურვილ კომპლექსს, რაც დაკავშირებულია სტუმრის მომსახურებასთან. ასეთი სასტუმროები ერთნაირად იზიდავს ტურისტებს როგორც ბიზნეს-კონფერენციებისთვის, ასევე დასვენება - განტვირთვისთვის. ასეთი სასტუმრო, როგორც დესტინაცია ანუ ტურისტების მიზიდვის ადგილი, შეიძლება გამოირჩეოდეს არქიტექტურით, სათხილამური ტრასების სიახლოვით, გოლფის მოედნით, დიდი და მაღალი კლასის საკონფერეციო დარბაზებით, გამორჩეული რესტორნით, და სპეციალური რეკრეაციული ღონისძიებებით (Conference and resort hotels, 2018).

უფრო კონკრეტულად როგორია საკურორტო სასტუმროს განმარტება სასტუმროთა ინდუსტრიაში? საკურორტო სასტუმრო არის სრული სერვისის მქონე განთავსების საშუალება, რომელიც დამსვენებელზე/ტურისტზეა მორგებული მთლიანად და მდებარეობს ისეთი რეკრეაციული ობიექტის სიახლოვეს, როგორიცაა, მაგალითად, ზღვა

და მიმდებარე პლაჟი, სათხილამურო ტრასები, ისტორიულ-კულტურული ცენტრები და ა.შ. განსხვავება სასტუმროს ტიპში ისახება შეთავაზებული კეთილმოწყობის დონესა და სასტუმრო სერვისების ხარისხში. საკურორტო სასტუმრო სტუმრებს აუცილებლად უნდა სთავაზობდეს გასართობ ღონისძიებებს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურორტი არის დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს შვებულების საჭიროებების უმეტეს ნაწილს შენობაში, ადგილზე (საცხოვრებელი, საკვები, სასმელი, სპორტული, გასართობი, სავაჭრო და ა.შ.). ზოგი კურორტი ფუნქციონირებს მთელი წელი, ზოგიც სეზონურად (Resort Hotel Industry Concept, 2018).

გამოიყოფა განთავსების საშუალების ცხრა ტიპი. ესენია:

- ✓ კლასიკური სასტუმრო;
- ✓ საკურორტო სასტუმრო;
- ✓ სპა სასტუმრო;
- ✓ საკონფერენციო სასტუმრო;
- ✓ მოტელი და საავტომობილო სასტუმრო;
- ✓ კონდომინიუმის ტიპის სასტუმრო;
- ✓ ხანგრძლივი დროით საცხოვრებელი სასტუმრო და სასტუმროს ტიპის აპარტამენტები;
- ✓ სამორინესთვის არსებული სასტუმრო;
- ✓ ლუქს-სასტუმრო.

დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა:

- ✓ სპა-სასტუმრო;
- ✓ გოლფის სასტუმრო;
- ✓ სათხილამურო სასტუმრო;
- ✓ რანჩოს ტიპის (Guest ranch);

- ✓ დაივერებისთვის განკუთვნილი სასტუმრო;
- ✓ თევზაობის მოყვარული ტურისტებისთვის განკუთვნილი სასტუმრო;
- ✓ საზღვაო სასტუმრო;
- ✓ სამორინესთვის და სათამაშო ბიზნესისთვის განკუთვნილი სასტუმროები;
- ✓ საკონფერენციო სასტუმრო;
- ✓ საბანაკე სასტუმრო (კემპინგი);
- ✓ ეკო-ტურიზმის სასტუმრო;
- ✓ თემატური პარკის სასტუმრო.

სეზონურობის მიხედვით გვხვდება სულ სამი ტიპი სასტუმროებისა. ესენია:

მუდმივად მომუშავე, ზამთრის და ზაფხულის (Tito Antonio Ofilada, 2013).

სასტუმროები ზომის მიხედვით იყოფა მეგა-სასტუმრო კომპლექსად და ბუტიკ-სასტუმროდ. მეგა-სასტუმრო ხასიათდება დიდი ფართობის შენობა-ნაგებობებით და ასევე მასში ჩადებული ინვესტიციის მოცულობით, რომელიც ხშირ შემთხვევაში მილიარდ დოლარს აღწევს; ასეთი სასტუმროს სანომრე ფონდი დაახლოებით 1000 ნომერს მოიცავს. ბუტიკ-სასტუმრო კი მეგა სასტუმროსთან შედარებით განვითარების დაბალი დონით ხასიათდება; მისი სანომრე ფონდი 100-200 ნომრის ფარგლებშია; ჩემს ნაშრომში დახასიათებული სასტუმროები ასეთი ტიპის სასტუმროებს განეკუთვნება.

მიუხედავად ბუტიკ-სასტუმროს ზომისა, ზოგიერთი შესაძლოა იყოს საკმაოდ მომგებიანიც, განსაკუთრებით კი ლუქსუს-ბუტიკ სასტუმრო ანუ სასტუმრო ფუფუნების ელემენტებით.

მდებარეობის მიხედვით გამოიყოფა: ურბანული ანუ ქალაქში მდებარე სასტუმრო; პლაჟზე ან ზღვის სანაპიროსთან მიმდებარედ მდებარე სასტუმრო; ტბის სასტუმრო; მთის სასტუმრო; კუნძულზე მდებარე სასტუმრო; უდაბნოს სასტუმრო; ტროპიკული წვიმის ტყეებში არსებული სასტუმრო; ფერმერული ტიპის ანუ აგროსასტუმრო.

მფლობელობის ფორმის მიხედვით გამოყოფენ:

- ✓ ჩვეულებრივი;
- ✓ თაიმშერი ანუ დროის დანაწილების პრინციპით კუთვნილი
- ✓ კომდომინიუმ-სასტუმრო;
- ✓ დასასვენებელი კლუბი;

სასტუმროთა სხვა ტიპები:

- ✓ All-inclusive resort – სასტუმრო, რომელიც სტუმარს სთავაზობს ყველაფერს ერთი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, ტრანსფერს (გადაადგილებას) სასტუმრომდე და უკან, ღამისთევის, მომსახურების, რამდენიმეჯერადი კვებისა და სასმელების ჩათვლით;
- ✓ შერეული სასტუმრო (Mixed-use resort) - სასტუმრო, რომელიც იზიდავს როგორც დასვენებაზე ორიენტირებული ვიზიტორებს, ასევე მივლინებით და სამსახურებრივი ვიზიტით მოგზაურებს;
- ✓ მცურავი სასტუმრო, იგივე საკრუიზო ლაინერი;
- ✓ თემატური სასტუმრო, რომელიც შესაძლოა იყოს რაიმე დიდი თემატური პარკის სიახლოვეს (მაგალითად, უამრავი ასეთი სასტუმროა საფრანგეთში, დისნეი-ლენდის მახლობლად).

ფასის მიხედვით:

- ✓ ძვირად ღირებული - ლაქშერი ანუ სასტუმრო ფუფუნების ელემენტებით;
- ✓ საშუალო სეგმენტზე მორგებული;
- ✓ დაბალი კლასის.

საკურორტო კომპლექსების გაჩენა მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული დასვენებისადმი მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ ტურისტულ ურთიერთობებში შემოიფარგლება მთელი რიგი ასპექტებით. ბულგარელი მეცნიერის დიმიტარ სტოინოვის აზრით, ტურიზმის მეცნიერება არ სწავლობს დიფერენციალურ რეჟიმში მათში მიმდინარე პროცესებსა და ფენომენებს. იგი მჭიდრო კავშირშია სხვა დარგებთან. საკურორტო კომპლექსების გაჩენა მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული დასვენებისადმი მზარდი მოთხოვნის საპასუხოდ მოხდა. მის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნდა ვარნის ეკონომიკის

უნივერსიტეტის ჟურნალში, განხილულია ფენომენის „საკურორტო კომპლექსის" ძირითადი მახასიათებლების კონცეფციის განსაზღვრა და მოკლე სისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი (Stoynov, 2010).

ევროპაში და განვითარებულ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე, რომლებიც ომის შემდგომ წლებში იყო, ტურისტებისთვის ტურისტული მომსახურების მასობრივ-კონვეირული ხასიათით გამოირჩეოდა. ეს ასევე გამოწვეული იყო მოთხოვნილებებიდან გამომდინარეც - საერთო მოთხოვნილებები ანიჭებდა ტურიზმს ასეთ ხასიათს. თუმცაღა ტურიზმის მასობრივი ხასიათი მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო ტურისტული სექტორის ინდუსტრიალიზაციისთვის. ხალხის მასობრივი ინტერესი ორგანიზებული დასვენების მიმართ ტურისტული ბიზნესის განვითარებას უწყობდა ხელს და აქედან გამომდინარე ხორციელდებოდა უამრავი საინვესტიციო პროექტი, რომლებიც უზრუნველყოფდენ როგორც ძირითად, ასევე სხვადასხვა დამატებით მომსახურებას - კულტურული, სპორტული და გასართობი პროგრამები, ექსკურსიები და სხვა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ტურიზმის ინდუსტრია მასობრივ-კონვეირულიდან ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გადავიდა და გახდა მასობრივ-ინდივიდუალური.

ტურიზმის განვითარებამ უამრავ ქვეყანაში სამეცნიერო საფუძველი ჩაუყარა კვლევით ინსტიტუტებს, რათა მოეხდინათ ეროვნული თუ რეგიონალური პროგრამების დაგეგმვა ტურისტული რესურსების შესაქმნელად და ტურისტული ინდუსტრიის ჩამოყალიბება-განვითარების მიზნით.

საკურორტო კომპლექსის ევოლუცია მოიცავს საინვესტიციო კაპიტალის, სამუშაო ადგილების და წარმოების შესაძლებლობების კიდევ უფრო მნიშვნელოვან კონცენტრაციას, რომელთაც რეგიონებისთვის დიდი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მნიშვნელობა აქვთ. ამის პარალელურად ისინი გავლენას ახდენენ მიმდებარე გარემოს ყველა სფეროზე, რომლებიც ქმნიან სტრუქტურულ და ფუნქციონალურ ტრანსფორმაციებს, კონკრეტულ მოვლენებსა და პროცესებს (Stoynov, 2010). ეს ყველაფერი

პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს ტურისტული პროდუქტის, საკურორტო კომპლექსების ბაზრის პოზიციებზე, ხალხის მიღებაზე და მთლიანად ტურისტულ დესტინაციაზე. ამის ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს ის შედეგები, რომელიც წარმოიქმნა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით შავი ზღვის სანაპიროზე. იგულისხმება პრივატიზების შედეგად გადაჭარბებული მშენებლობები, უამრავი აგებული ცალკეული სასტუმრო თუ სასტუმრო კომპლექსი.

ხშირად ლიტერატურაში კონცეფციების "კურორტის", "საკურორტო კომპლექსი" და "ტურისტული კომპლექსი" გამოიყენება, როგორც სინონიმები და ეს, ცოტა არ იყოს გაურკვევლობას ბადებს. ეს სამი კონცეფცია საერთო მნიშვნელობას აერთიანებს, რომელიც გამოხატავს ტურისტულ მომსახურებას ტურისტულ ბაზაზე არსებული სამკურნალო და რეკრეაციული რესურსებით. სპეციალიზირებული კვლევების მიზნებისთვის აუცილებელია მათი მნიშვნელობის განსაზღვრა ზუსტად სემანტიკურად და ეტიმოლოგიურად. ისტორიულად, სიტყვა "კურორტი" (მომდინარეობს ლათინური სიტყვა "curo"-დან -რაც ზრუნვას ნიშნავს) ეწოდა "კურორტს" გერმანულენოვან ქვეყნებში, სადაც დასვენების, განკურნების და განტვირთვის ადგილები დასახელდა კლიმატის, მინერალური წყლების, ზღვის წყლისა და სხვა ხელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედებით. ბუნებრივი რესურსების ტიპები და მათთან ასოცირებული თერაპიები დღესდღეობით ამ კონცეფციის მნიშვნელობას აძლიერებს და ხშირად აქვს დამატებითი მნიშვნელობა, როგორიცაა: სამთო, საზღვაო, სათხილამურო, საკურორტო კომპლექსი და სხვა; ბუნებრივი რესურსებით მკურნალობის პრინციპი ჯერჯერობით რჩება ძირითად პრინციპად. სახელწოდება "საკურორტო კომპლექსი", რომელიც ფართოდ არის გავრცელებული, თანამედროვე ტურისტულ ურთიერთობებში გამოჩნდა მრავალფეროვანი მატერიალური ბაზის შექმნით, რომელიც მორგებულია ტურისტების მზარდ მოთხოვნებსა და შესაძლებლობებზე. ასეთი განვითარება შეინიშნება ბიზნეს, სპორტული, გასართობი, რელიგიური და რეკრეაციული ტურიზმის სფეროში.

"საკურორტო კომპლექსი" არის დამოუკიდებელი ტერიტორიული ჯგუფი, მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურით, სადაც გათვალისწინებულია ძირითადი და დამატებითი ტურისტული მომსახურება. იგი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5 განთავსების ადგილის (ოთახის/სასტუმროს ნომრის), მინიმუმ ერთი კვების ობიექტისა და გასართობი ადგილისაგან (Stoynov, 2010).

სტოინოვის განმარტებით, განმარტებით საკურორტო კომპლექსი წარმოადგენს "ტურისტული ობიექტების და საშუალებების ტერიტორიულად გამორჩეულ და ინფრასტრუქტურულ ერთიან კომპლექსს, რომელიც ქმნის ტურისტულ პროდუქტს, შემდგარს განთავსების საშუალების, კვების ობიექტების, სამკურნალო, სატრანსპორტო, სასპორტო და გასართობის საშუალებებისგან; კომპლექსს უნდა გააჩნდეს ძირითადი და დამატებითი სერვისები და უნდა უზრუნველყოფდეს მიმდებარე ტურისტული რესურსების გამოყენებას რეკრეაციული მიზნებისთვის" (Stoynov, 2010).

ტერმინების "კურორტის", "კურორტის კომპლექსი" და "ტურისტული კომპლექსის" სემანტიკური და სინტაქსური ურთიერთდამოკიდებულების სქემა N1.



როგორც აღინიშნა სასტუმრო ინდუსტრია რთული ურთიერთდამოკიდებული კომპლექსია, რომელიც შესდგება ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ჯაჭვისგან. საქართველოში სასტუმრო ბიზნესი კარგად განვითარებულია. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე უამრავი საერთაშორისო ბრენდული სასტუმრო წარმატებით ფუნქციონირებს, როგორებიცაა „რედისონი“, „შერატონი“, „მერიოტი“, „მოქსი“, „ჰოლიდეი ინი“ ქ. თბილისში, „ჰილტონი“, „შერატონი“ ქ. ბათუმში, მშენებლობის პროცესშია: „ჰოლიდეი ინი“ ქ. თელავში, „ რედისონ რედი“ ქ. თბილისში, „მერიოტი“ ქ. ბათუმში და მრავალი სხვა.

თავი 3. კახეთი - ზოგადი მიმოხილვა

კახეთი ცნობილია კულტურულ ძეგლთა სიმრავლით. არაერთი ეკლესია, მონასტერი თუ ციხესიმაგრე იპყრობს ტურისტების ყურადღებას. გამორჩეულად ცნობილი კულტურული ძეგლებია: ნინოწმინდა, ბოდბე, ხორნაბუჯი, უჯარმა, სიღნაღი, გურჯაანის ყველაწმინდა, ალავერდი, ძველი და ახალი შუამთა, იყალთო, გრემი, ნეკრესი და სხვა.

თითოეული ეკლესია-მონასტერი ძველი ტრადიციის მატარებელია, დღემდე მოქმედებს მათი სახელობითი დღესასწაულები. ეს კი საუკეთესო ფაქტორია მომლოცველთა ან უბრალოდ კულტურული ტურიზმით დაინტერესებულთათვის მხარეს დიდი პოტენციალი აქვს ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის. კახეთის მეღვინეობის ისტორია ჩვ. წ. აღრიცხვამდე III-II საუკუნეში იწყება და დღემდე მხარის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს (კახეთი, 2018).

საქართველოს ღვინის ქარხნები უმეტესად კახეთშია კონცენტრირებული. სადაც ტურისტებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობენ: აცნობენ საწარმოო პროცესს, ატარებენ ღვინის დეგუსტაციას, აცნობენ ქართულ ტრადიციებს სპეციალურად მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებში. ღვინის დაგემოვნება შესაძლებელია ტრადიციულ ქართულ

ოჯახებშიც, სადაც ტურისტს შეუძლია ძველ ან ძველ სტილში აგებულ მარნებში კახური ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო და ქართული სამზარეულოს კერძები დააგემოვნოს (ხშირად ხალხური სიმღერების ფონზე). კახეთში ყოველწლიურად იმართება ღვინის ფესტივალი. რეგიონის ტერიტორიაზე ექვსი დაცული ტერიტორიაა – ბაწარას, ბაბანეულის, მარიამჯვრისა და ვაშლოვანის ნაკრძალები, თუშეთისა და ლაგოდეხის ეროვნული პარკები. თითოეული მათგანი ბუნების მოყვარულთ საოცარ ბუნების ძეგლებს სთავაზობს.

საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონს – კახეთს - ჩრდილოეთიდან თუშეთი და დიდი კავკასიონის ქედი ესაზღვრება, აღმოსავლეთით და სამხრეთით აზერბაიჯანია, ხოლო მის დასავლეთით ქართლი მდებარეობს. ამ რეგიონს ორი ძირითადი მდინარე ჩამოუდის: ალაზანი აღმოსავლეთ ნაწილში და იორი - დასავლეთში.

ჩვ. წელთაღრიცხვის VIII საუკუნის ბოლოს კახეთი დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდა. XII საუკუნის დასაწყისში მეფე დავით აღმაშენებელმა კახეთი წარმატებით შეიყვანა საქართველოს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებში და ამ მხარემ აღნიშნული სტატუსი 300 წელიწადზე მეტხანს შეინარჩუნა. 1460-იან წლებში, საქართველოს გაერთიანებული სამეფოს დაშლის შემდეგ, კახეთი დამოუკიდებელი სამეფო გახდა. 1762 წელს იგი მეზობელ სამეფოს, ქართლს, შეუერთდა, რის შედეგადაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო - ქართლ-კახეთი შეიქმნა. ეს სამეფო, სპარსელების ხშირი შემოსევების გამო, საკმაოდ იყო დასუსტებული და 1801 წელს რუსთა ხელმწიფემ, პავლემ, მისი ანექსია მოახდინა.

მთელი საუკუნის განმავლობაში ქართლ-კახეთი რუსეთის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა. 1918 წელს, ერთი წლის შემდგომ, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ რუსეთში სამხედრო გადატრიალება მოაწყო, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა უდღეური აღმოჩნდა. 1921 წელს ბოლშევიკური არმია საქართველოს შემოესია. მომდევნო წელს საქართველო ახალშექმნილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში (სსრკ) გააერთიანეს. 1990 წლის აპრილში, როდესაც შედეგად

სსრკ საკმაოდ დაძაბუნდა და დაშლა დაიწყო, საქართველომ კვლავ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1992 წელს დამოუკიდებელი ერის სტატუსი საერთაშორისო მასშტაბით იქნა რატიფიცირებული იმით, რომ საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი გახდა (kakheti n.d.).

კახეთი დღეს მოიცავს მდინარე ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდინარე ალაზნის აუზს. კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა გარეკახეთი (მდინარე ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდინარე ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდინარე ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდინარე ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდინარე ივრის ზემო წელი თიანეთსა და უჯარმას შორის). ცენტრი იყო ჩელეთი იგივე ჟალეთი, ხოლო IV საუკუნიდან -უჯარმა.

3.1 ადმინისტრაციული დაყოფა და ზოგადი ცნობები

კახეთის მხარეში შედის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები: ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტი.

მხარის ფართობი შეადგენს 11 310 კვ.კმ-ს (ამ მაჩვენებლით იგი ყველაზე დიდი რეგიონია საქართველოში), 2015 წ. მონაცემებით მოსახლეობა დაახლოებით 40 ათას კაცზე მეტია (მთელი მოსახლეობის 9%), მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ–ზე არის 28 კაცი. მოსახლეობის 85,16% ქართველია, 10,16% აზერბაიჯანელი, 4,68% სხვა ეროვნებების წარმომადგენელი. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მოსახლეობა შედარებით ნელა იზრდებოდა, რაც განპირობებული იყო ზომიერი ბუნებრივი მატებითა და სოფლიდან ქალაქში მიგრაციით. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი თელავი. კახელები ძირითადად ივრის ზეგნის ჩრდილოეთ ნაწილში-ალაზნის ველის მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ზოლში ცხოვრობენ. მხარეში 285 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 9

ქალაქი და 276 სოფელი. ეს ქალაქებია: ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, წნორი და 276 სოფელი (kakhetis mxare, n.d.).

3.2. მეღვინეობა - კახეთის სავიზიტო ბარათი

კახეთი უძველესი და უნიკალური მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონია საქართველოში. იგი იყოფა ორ ზონად: შიდა და გარე კახეთად. კახეთში გამოყოფილია 25-ზე მეტი მიკროზონა, სადაც ტრადიციულად იწარმოება წარმოშობის ადგილის დასახელების ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორიცაა: წინანდალი, ნაფარეული, თელიანი, ახაშენი, მუკუზანი, ქინძმარაული, გურჯაანი, კარდენახი, მანავი და სხვა. ამჟამად საქართველოს ვენახების 65-70% კახეთშია კონცენტრირებული. საუკეთესო ხარისხის ღვინოების მომცემი სამრეწველო ვენახები გაშენებულია მდინარეების - ალაზნისა და ივრის აუზებში, ზღვის დონიდან 400-700 მეტრ სიმაღლეზე.

კახეთის მევენახეობის ძირითადი მიმართულებაა მაღალხარისხოვანი და ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი, მშრალი, ნახევრადმშრალი, ბუნებრივად ტკბილი და სადესერტო ღვინოების წარმოება. ევროპული ტიპის სუფრის თეთრი, მაღალხარისხოვანი, საუკეთესო გემოვნური თვისებების მქონე ღვინოები მზადდება წინანდლის, ნაფარეულის, გურჯაანის, მანავის და სხვა მიკროზონებში, რქაწითელის, კახური მწვანეს, ხიხვის, ქისის და სხვა უძველესი ადგილობრივი ჯიშების ყურძნისაგან. სუფრის წითელი მშრალი ღვინოები მზადდება თელიანის, ახაშენის, მუკუზნის და კახეთის სხვა უნიკალურ მიკროზონებში ქართული აბორიგენული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშის საფერავისაგან (მეღვინეობა კახეთში, 2018).

წარმოშობის ადგილის დასახელების, ბუნებრივად ტკბილი წითელი ღვინოები კახეთში მზადდება მხოლოდ ახაშენის და ქინძმარაულის მიკროზონებში. ამ ღვინოებისათვის დამახასიათებელ მაღალ საგემოვნო თვისებებს განაპირობებს აქაური მიკროკლიმატი, ნიადაგები და საფერავის ჯიშობრივი მახასიათებლები.

საუკუნეთა მანძილზე კახეთში შეიქმნა და ჩამოყალიბდა სუფრის ღვინის ტიპი, რომელიც საკმაოდ განსხვავდება სხვა ტიპებისაგან. მისი დამზადების ტექნოლოგია ითვალისწინებს ალკოჰოლური დუღილის პროცესში ყურძნის მტევნის მყარი ნაწილების - კლერტის, წიპწასა და კანის მონაწილეობას. ასეთი ტიპის ღვინო მზადდება მიწაში ჩაფლულ ქვევრებში, სადაც მთელი ტექნოლოგიური ციკლი მუდმივ ტემპერატურულ რეჟიმშია მოქცეული. ამ წესით მიღებული ღვინო გამოირჩევა მაღალი ექსტრაქტულობით, ფენოლური ნაერთების და ტანინის მაღალი შემცველობით, სასიამოვნო ბუკეტით, ძლიერად გამოხატული ჯიშური არომატითა და გემოთი (მეღვინეობა კახეთში, 2018).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრის ღვინის დაყენების ეს უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი UNESCO-ს არამატერიალურ ძეგლთა ნუსხაში შეტანილ იქნა 2013 წელს. გარდა ამისა, ამ ნუსხაში დაცულია ქართული მრავალხმიანობა (შეტანილ იქნა 2008 წელს) და ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (შეტანილ იქნა 2016 წელს). იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეტანის მიზნით, ორგანიზაციას განსახილველად წარედგინა ნომინაცია „ქართული ჭიდაობა“. გადაწყვეტილება მიღებულ იქნება 2018 წლის ბოლოს.

გადმოცემული ინფორმაცია ცხადყოფს კახეთის რეგიონის დიდ პერსპექტივას ტურიზმის სფეროში. კახეთში ყველაფერია იმისთვის, რომ იყოს მიმზიდველი სხვადასხვა ინტერესის სფეროს მქონე ტურისტებისათვის და კიდევ მრავალი წელი დარჩეს მნიშვნელოვან ტურისტულ ატრაქციად.

თავი 4. საკურორტო სასტუმროები კახეთში

კახეთი უძველესი დროიდან ვაზთან და ყურძენთან ასოცირდებოდა და იგი დღესაც ვაზის კულტურის მხარედ რჩება. ახლახანს არქეოლოგიური გათხრების შედეგად

აღმოჩენილ იქნა ყურძნის წიპწები, რომლებიც ქრისტეშობამდე 7000-6000 წლით არის დათარიღებული. კახეთის ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ღვინის ქარხანა წინანდალში მდებარეობს, სადაც ღვინის წარმოება 1865 წელს დაიწყო. იგი განთავსებულია ადგილ-მამულში, რომელიც ადრე ალექსანდრე ჭავჭავაძის საკუთრებას წარმოადგენდა; ალექსანდრემ, სახელმოხვეჭილმა პოეტმა და მოღვაწემ, ღვინის წარმოება სწორედ ამ ადგილზე წამოიწყო.

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი მხარეა კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთებით, მწვერვალებითა (3300-4500მ) და უღელტეხილებით, ვაკეებით, ველ-მინდვრებითა და ნახევრად უდაბნო ადგილებით.

საოცარი სანახავია კახეთის კავკასიონი, ციცაბო ფერდობებით რომ ეშვება ალაზნის ვაკეზე. როგორც უკვე აღინიშნა, კახეთი უძველესი და უნიკალური მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონია საქართველოში. აქ მრავალი ჯიშის ყურძენი ხარობს და შესაბამისად, მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი ღვინოებიც მზადდება.

რეგიონის ტერიტორიაზე უამრავი სანახაობაა. მათ შორისაა 58 ეკლესია-მონასტერი და ციხე-კოშკი, 17 მუზეუმი და 6 დაცული ტერიტორია. ღირსშესანიშნაობების სრული სია იხილეთ დანართში (გვ. 46)(კახეთის ტურიზმი, 2018).

ტურიზმის ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად ითვლება სასტუმროების და განსაკუთრებით მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობა, რამაც XXI საუკუნის საქართველოშიც კარგად მოიკიდა ფეხი. კახეთის რეგიონში საკურორტო ანუ რეზორტ ტიპის სასტუმროების განსაკუთრებით კარგი არჩევანია.

კურორტი - (გერმ. Kurort, სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც სამკურნალო ადგილი) - ადგილი, რომელსაც აქვს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები და აუცილებელი პირობები მათი სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით გამოსაყენებლად. კლასიკური განმარტებით კურორტის ტერიტორიაზე სამკურნალო დაწესებულებების ძირითადი ტიპია სანატორიუმი: არის სხვა დაწესებულებებიც - პანსიონატი, დასასვენებელი სახლი,

წყალსამკურნალო, საკურორტო პოლიკლინიკა, სამედიცინო პლაჟი და სხვა. ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები - მინერალური წყალი, ჰაერი, სამკურნალო ტალახი და სხვა, უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჰიპოკრატე მათ ფართოდ იყენებდა სხვადასხვა ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ (კურორტი, 2018).

კურორტი ხშირ შემთხვევაში კომერციული ანუ მოგებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ცდილობს დამსვენებლების სხვადასხვა მოთხოვნილებები (კვება, სასმელი, ღამისთევა, სპორტი, გართობა და სხვა), ადგილზე უზრუნველყოს. სასტუმრო ხშირად კურორტის ცენტრალურ მახასიათებელს წარმოადგენს. მე-20 საუკუნის ბოლოს, ამ ტიპის დაწესებულებებმა კიდევ უფრო დიდი გავრცელება ჰპოვა (Resort, 2018).

კახეთის ტერიტორიაზე რაოდენობრივად საკმაოდ ბევრი სასტუმროა, ბევრი მათგანი საოჯახო ტიპის და შედარებით ბიუჯეტურია. ჩემი კვლევის სფეროში მოექცა მაღალი კლასის საკურორტო სასტუმროები: „ლოპოტა სპა რეზორტ“, „ახაშენი ვაინ რეზორტ“, „კაბადონი ბუტიკ სასტუმრო“, „კაჭრეთის ამბასადორი”, სასტუმრო „მაროშენი”, „სავანეთი“, „ყვარლის ედემი”, „შატო-მერე” , სასტუმრო „ყვარლის ტბა”, „შუმან ვაინს შატო ენდ სპა”, „როიალ ბატონი”.

„ლოპოტა ლეიქ რეზორტ ენდ სპა“

თბილისიდან ორი საათის გზაზე მდებარეობს სასუტუმრო „ლოპოტა ლეიქ რეზორტ ენდ სპა“ (თელავის რ-ნი). სასტუმრო 102 ოთახს აერთიანებს, რომელიც 4 კატეგორიად იყოფა. ესენია: 30 კვ. მ. მოცულობის ორადგილიანი სტანდარტული ოთახი; 104 კვ.მ. ფართობის დუპლექს-სუიტი, გათვლილი 6 ადამიანზე; საოჯახო ტიპის ოთახი სამი ადამიანისათვის (40 კვ.მ.) და ჯუნიორ სუიტი (მაღალი დონის ორადგილიანი ნომერი). სასტუმროში ფუნქციონირებს მრავალფეროვანი სამზარეულოთი წარმოდგენილი რესტორანი და სასმელების ფართო არჩევანის მქონე რამდენიმე ბარი. აქვე ფუნქციონირებს ღვინის დარბაზი სხვადასხვა ჯიშის და დაძველების მქონე ღვინოების ფართო

ასორტიმენტით და კახური კუთხე, სადაც ადგილობრივი ტრადიციული კერძების დაგემოვნებაა შესაძლებელი სტუმრების თვალწინ გამომცხვარ შოთის პურებთან ერთად. ქართული ტრადიციული სამზარეულოს გარდა, „ლოპოტა სპა რეზორტში „შვედური კუთხეცაა წარმოდგენილი სხვადასხვა ტიპის კერძების ფართო არჩევანით.

სტუმრების განკარგულებაშია 4 საკონფერენციო დარბაზი, ასევე დარბაზი სხვადასხვა ღონისძიებებისთვის (ქორწილი თუ რაიმე მსგავსი ტიპის ღონისძიება), „ლოპოტა პირსი“ (ადგილი ტბის პირას, სადაც სპეციალურად მოწყობილ სავარძლებზე ტბის თუ მთის ხედებით ტკბობაა შესაძლებელი) და პიკნიკის ზონა (ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.52).

სასტუმროში ფუნქციონირებს მაღალი დონის სპა და ველნეს-ცენტრი, სადაც ჩამოსულ სტუმრებს დასვენება და განტვირთვა შეუძლიათ ყოველდღიური დაძაბული რიტმისგან. აქ სამკურნალო გამაჯანსაღებელი პროცედურებისთვის სპეციალურად მოწვეული ჰყავთ პროფესიონალთა ჯგუფი. სტუმრებს შეუძლიათ აირჩიონ დასვენების და განტვირთვის სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა: ტყის სპა, დეტოქსი, რუსული აბანო, იოგა, დახურული და ღია აუზი და ფიტნესი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობებისა, ლოპოტაზე სტუმრებს შეუძლიათ ისიამოვნონ ღამის ცხოვრებით, საბავშვო ცენტრით, რომლის მომსახურებაში ინდივიდუალური ძიძაც შედის, ღვინის მარნით, სუვენირების მაღაზიით, გარე კინოთეატრით, კარაოკე-ბარით და კვადრო-ტურებით (ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთათვის) (lopota lake resort and spa, 2018).

“ახაშენი ვაინ რეზორტს”

„ახაშენი ვაინ რეზორტი“ წარმოადგენს ახალგახსნილ სასტუმრო კომპლექსს თბილისიდან საათნახევრის გზაზე. სტუმრების განკარგულებაშია საკონფერენციო დარბაზი, გასართობი და დასასვენებელი ადგილები, საცურაო აუზები და ვენახები

ტრადიციული ღვინის მარნით. ოთახები სხვადასხვა ტიპისაა სტანდარტული ორკაციანით დაწყებული და ოთხკაციანით დამთავრებული(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.53).

ღვინის მარანი მაღაზიით წარმოადგენს მოდერნიზებულ ტრადიციულ ქართულ მარანს უძველესი სამზარეულოთი, გასული 10 საუკუნის ექსპონატებით. აქ წარმოდგენილია „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ ცნობილი ასორტიმენტი. ახაშენის ღვინოები, ქვევრის ღვინოები „ველისციხის ტერასიდან“, ღვინის პრემიუმ კოლექცია და ახალი პროდუქტები გურამიშვილის მარნიდან- „აის ვაინი“ (ღვინო, რომელიც ვაზზე შეყინული ყურძნისგან იწურება, მარცვალს კრეფენ იანვარში), ცქრიალა ღვინო და ჭაჭა.

სასტუმრო კომპლექსი სტუმრებს ასევე სთავაზობს ტურებს რამდენიმე მიმართულებით. ეს ტურებია: გურამიშვილის მარანი (საგურამო, 140 კმ.), ქართული ღვინის პალატა (მცხეთა, 130 კმ), სიღნაღი - სიყვარულის ქალაქი (28 კმ.), ველისციხის ვერანდა (3 კმ.) (akhasheni wine resort, 2018).

’’კაბადონი”

სასტუმრო „კაბადონი“ ქ. სიღნაღის ცენტრში მდებარეობს. სიღნაღი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ატრაქციაა კახეთისთვის ბოლო 10 წლის მანძილზე. სასტუმროს ორიგინალური დიზაინი აქვს, რომელიც შედგება მოდერნის, აღმოსავლური სტილის და ძველი ქართული მოტივების სინთეზისაგან. ბუტიკ ტიპის სასტუმრო 21 ნომერს მოიცავს. სტუმრების განკარგულებაშია რესტორანი „სანსეტ-ლაუნჯი“ ღია ცის ქვეშ, ღვინის ბარი და 2 ტერასა, საკონფერენციო დარბაზი, ასევე ველნეს-ცენტრი, სადაც დახურული საცურაო აუზი, ტრენაჟორების დარბაზი და სილამაზის სალონია მოთავსებული და თერმული ზონა საუნით, სადაც სტუმრები რელაქსაციასა და სპა-პროცედურებით სარგებლობენ(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.54).

სასტუმროში შესაძლებელია ქორწილების და სხვა ტიპის ღონისძიებების და ბიზნეს-შეხვედრების დაგეგმვა. ასევე სტუმრებს სთავაზობენ ტურებს სხვადასხვა მიმართულებებით. ეს ტურებია: კახეთი - საოცნებო მხარე; კახეთის ბუნების

სიმდიდრეები; კახეთის სიწმინდეები; ღვინის გზა; ტური -შეხება ბუნებასთან (kabadoni, 2018).

კაჭრეთის „ამბასადორი“

კაჭრეთის ამბასადორი გურჯაანის რ-ნში, სოფ. კაჭრეთში მდებარეობს. მისი 75 ნომერი იყოფა სამ კატეგორიად: 16 სტანდარტული ოთახი (1 ადამიანისათვის, 2 ადამიანისათვის და სუპერიორი), ლუქსი (ლუქსი 2 ადამიანისათვის, დუპლექს-ლუქსი (2 სართულზე განთავსებული) და საპრეზიდენტო აპარტამენტი) და კოტეჯი (4 საძინებლით 13 ადამიანისათვის).

გარდა სხვა სერვისებისა, ლუქს ნომრებში არის ინდივიდუალური სეიფები და ბუხარი მხოლოდ საპრეზიდენტო აპარტამენტისათვის(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.55).

სასტუმრო კომპლექსი ასევე მოიცავს ღია და დახურულ აუზებს, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებს, სასროლ მოედანს, ბილიარდის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის და ნარდისთვის განკუთვნილ დარბაზს, საცხენოსნო მოედანს (წარმოდგენილია კავკასიური ცხენები და ასევე პონები ბავშვებისთვის), რესტორანს, საბანკეტო დარბაზს, აუზის კაფეს და ღვინის მარანს (kachretis ambasadori, 2018).

„მაროშენი“

სასტუმრო მაროშენი მდებარეობს სოფ. ბაკურციხეში, გურჯაანის რაიონში. კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია დავით და ალექსანდრე სარაჯიშვილების სახლ-მუზეუმი,სასტუმრო "მაროშენი", რესტორანი, ბარი, სადღესასწაულო და

საკონფერენციო სივრცე,მარანი და ტრადიციული მეთოდით მოწყობილი, ბუნებრივი მაცივარი(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.56()).

ასევე სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ აეროპორტის ტრანსფერით, ტაქსის გამოძახების სერვისით, ტურებითა და ექსკურსიების ორგანიზებით, თარჯიმნის სერვისით, ავია-ბილეთების დაჯავშნის, ბავშვის მომვლელის და მასაჟისტის მომსახურებით (marosheni, 2018).

„სავანეთი“

მდებარეობს თელავთან ახლოს, ისტორიულ სოფელ იყალთოში, თბილისიდან 97 კმ. დაშორებით. სასტუმრო კომპლექსი აკმაყოფილებს თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყობს სტუმრის მაქსიმალურ კომფორტს. სასტუმრო შედგება ორი შენობისგან, სადაც განთავსებულია 57 კომფორტული ნომერი. ფუნქციონირებს 200 ადამიანზე გათვლილი რესტორანი, საკონფერენციო დარბაზი, ასევე ღია საცურაო აუზი, ფინური საუნა, სამომავლოდ კი სტუმრებს შესთავაზებენ სპა სალონსა და ჰამამს, სპორტულ მოედანს, ბავშვთა სათამაშო მოედანს, ღამის კლუბს, საბილიარდოს საკუთარი წარმოების კახურ და ევროპულ ღვინოებს, 24 საათიან დაცვასა და საკუთარ ავტოსადგომს (ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.57).

სასტუმრო ასევე სტუმრებს სთავაზობს ყველა გემოვნების ადამიანებზე გათვლილ ტურებს. ეს ტურებია: გაცნობითი (Welcome) ტური, კომბინირებული ტური, ღვინის ტური

საფეხმავლო ტური, პილიგრიმული ტური, თუშეთის ტური (savaneti, 2018).

„ყვარლის ედემი“

სასტუმრო კომპლექსი "ყვარლის ედემი" ყვარელში, მდინარე ბურსას მარჯვენა სანაპიროზე, თბილისიდან 153 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სასტუმრო ქალაქის ცენტრიდან, სადაც მუზეუმები, ეკლესია და ქალაქის სხვა ღირშესანიშნაობებია, რამდენიმე

კილომეტრითაა დაშორებული. სასტუმროს აქვს მაღალი კლასის 47 ოთახი, რესტორნები, ბარები, საკონფერენციო დარბაზი, ბოულინგი, ბილიარდი, ჩოგბურთის კორტი, ღვინოთერაპიის სპა. აქ ქართულ ტრადიციულ სამზარეულოსთან ერთად ევროპული კერძებსაც სთავაზობენ სტუმრებს(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.58).

ოთახებს განსაკუთრებული, დამახასიათებელი დეკორი აქვს და შემდეგ კატეგორიებად არის დაყოფილი:

- ✓ 33 სტანდარტული ოთახი, სადაც როგორც ერთი ისე ორი სტუმრის მიღებაა შესაძლებელი;
- ✓ 10 Junior Suite ოთახი, რომელიც სტანდარტულზე დიდია და დამატებული აქვს დივანი და სავარძელი;
- ✓ 1 King Suite დიდი მისაღებითა და რბილი ავეჯით, ბუხრით, ოვალური მაგიდითა და სკამებით. აქვე დაგხვდებათ ბარის მაღალი მაგიდა სკამებით. King Suite-ში ერთი საძინებელია(kvalis edemi, 2018).

„შატო მერე“

შატო მერე ღვინის კომპანია "ვინივერიას" ბაზაზე თელავის მახლობლად, სოფელ ვარდისუბანში დაფუძნდა, თბილისიდან 90 კმ-ითაა დაშორებული და 2011 წლიდან ფუნქციონირებს. ადგილობრივი ყურძნის გადამუშავებით „ვინივერია" თეთრი და წითელი ღვინის რამდენიმე სახეობას აწარმოებს. კახური და ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო ადგილობრივი ბაზრის გარდა, ექსპორტზე მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში გადის.

ღვინის კომპანიასთან ერთად, შატოს კომპლექსი სასტუმროსა და რესტორანსაც მოიცავს. სასტუმროს ტერიტორიაზეა ასევე ღია აუზი, დიდი საკონფერენციო დარბაზი, მარანი, ღვინის სადეგუსტაციო განყოფილება, ბარი, ღია ჯაკუზი და საჯინიბო რამდენიმე არაბული ცხენით(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.59).

ღვინის წარმოების გარდა, კახეთის რეგიონი ისტორიული წარსულითაც გამოირჩევა. აქ დღემდე ბევრი ღირსშესანიშნაობაა შენარჩუნებული. ამ ძეგლების უმეტესობა (იყალთოს აკადემია, გრემი, ძველი და ახალი შუამთა, ალავერდი, ერეკლე მეორისა თუ ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმები) სწორედ „შატო მერეს“ სიახლოვეს მდებარეობს.

შატო ქვისგან ნაგები სამსართულიანი სასახლეა, დიდი ქვის გალავნით. კომპლექსში შედის 15 სასტუმრო ოთახი, რესტორანი, საკონფერენციო დარბაზი, ღია აუზი და ჯაკუზი, კომპანია „ვინივერიას“ ღვინის საწარმო და ქვევრების მარანი, აგრეთვე საჩუქრების მაღაზია და საჯინიბო.

შატო, ფრანგულად სასახლეს ნიშნავს, მერე კი ახლომდებარე სოფელია. „შატო მერე“ აგროტურიზმის ერთ–ერთი პირველი ცენტრია. მისი სავიზიტო ბარათი უნიკალური ხედია კავკასიონის მთებსა და ალაზნის ველზე (shato mere, 2018).

„ყვარლის ტბა“

ყვარლის ტბა „M group“-ის შემადგენლობაში შემავალი სასტუმრო კომპლექსია. სასტუმროების და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი დაარსდა 2005 წელს და ამ დროისთვის 6 სხვადასხვა კონცეფციისა და საფასო სეგმენტზე პოზიციონირებულ პროექტს მოიცავს როგორც თბილისში, ისე მის ფარგლებს გარეთ. “M group” პირველი მენეჯმენტ ჯგუფია აღმოსავლეთ ევროპის სექტორში, რომელიც 2008 წელს გახდა HACCP-ის კონცეფციით ხარისხის მენეჯმეტის სისტემის ISO9001:2000 სერთიფიკატის მფლობელი.

ყვარლის ტბა მდებარეობს კახეთის შუაგულში, ქალაქ ყვარლის აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთების ქვეშ. გარშემო ტყე ასწლოვანი ხეები, წინ ტბა, რომელშიც ჩაედინება მდინარე ბურსა და ჩაგურგულა, უკან ალაზნის თვალუწვდენელი ველი უნიკალურს ხდის ტბაზე მდებარე სასტუმროს. სტუმრების განკარგულებაშია სასტუმროს აუზი და სპაში, კატერი, წყლის თხილამურები და წყლის

ველოსიპედი(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.60). კურორტის ფართობი 300 ჰექტარს შეადგენს აქედან 44 ჰა უკავია 20მ სიღრმის ტბას (kvareli lake resort and spa, 2018).

„შუხმან ვაინს შატო ენდ სპა"

შუხმანის ღვინის შატო კისისხევში, თელავის რაიონში მდებარეობს. სასტუმრო აღჭურვილია საკონფერეციო დარბაზით და აქვე შესაძლებელია ნებისმიერი ღონისძიების მოწყობაც. სასტუმროს ფასიან სერვისებში შედის უნიკალური ღვინის სპა: ანტიოქსიდანტური წითელი ღვინის გამაჯანსაღებელი პროცედურები ან მასაჟი 100%-ით ნატურალური ყურძნის წიპწის ზეთით, ან თუნდაც შავი შოკოლადისა და წითელი ღვინის თერაპია. სასტუმროში 20 ნომერია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად(ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.61) (schuchman wines shateau and spa, 2018).

„როიალ ბატონი"

"როიალ ბატონი" საქართველოს ისტორიულ კუთხეში -კახეთში, ყვარლის რაიონში, ილიას ტბის პირას, ყვარლის მთებსა და მდინარე დურუჯს შორის მდებარეობს. სასტუმრო თბილისიდან 146 კმ-ითაა დაშორებული. „როიალ ბატონი" ცნობილი სასტუმროს „შატო მერეს" დამფუძნებლების მეორე და უფრო მასშტაბური პროექტია. სასტუმრო გაიხსნა 2013 წლის 27 ივლისს და მის შემადგენლობაშია: რესტორანი ბარითა და ვერანდით ილიას ტბაზე, საკონფერენციო დარბაზი, ჰაერში გადაკიდული ღია საცურაო აუზი და სიგარა რუმი. გარდა ამისა ლუქსის ტიპის ნომერში სტუმრებს ელოდებათ აბაზანა პირდაპირ ოთახის ცენტრში და ღვინო „ვინივერიას" მარნიდან (ფოტოები იხილეთ დანართში, გვ.62).

სასტუმროს მიმდებარედ სტუმრებს შეუძლიათ თევზაობა, ველოსიპედით სეირნობა, ქართული კერძების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და კახური ღვინის დაგემოვნება. სტუმრებისთვის ხელმისაწვდომია ასევე ილიას ტბაზე არსებული ჩოგბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებით სარგებლობა. აქ

შესაძლებელია ასევე ქორწილების, კორპორატიული საღამოების, ჯგუფური შეჯიბრებების, დაბადების დღეების და სხვა ღონისძიებების მოწყობა.

სასტუმროს დამატებითი სერვისებია:

- ✓ საცხენოსნო და ველო ტურები ყვარელში;
- ✓ ტრანსპორტირება როგორც თბილისიდან და აეროპორტიდან, ასევე საქართველოს ნებისმიერი კუთხიდან და უკან;
- ✓ ტურები საქართველოს მასშტაბით: ალავერდი, წინანდალი, გრემი, ყაზბეგი, სნო, ჯუთა, უფლისციხე (4 პერსონაზე მსუბუქი ავტომობილით) (royal batoni, 2018).

დანართში მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილია სასტუმროთა ძირითადი მომსახურებანი. მნიშვნელოვანი ტურისტულ პორტალ „Booking.com"-ის შეფასებით ყველაზე დაბალი შეფასება (7.8) აქვს კაჭრეთის „ამბასადორს"- სასტუმრო სხვებთან შედარებით ძველი გახსნილია, ხოლო ყველაზე მაღალი (9.7) „ახაშენი ვაინ რეზორტს" - გაიხსნა სამი თვის წინ. თუმცა მთლიანობაში „Booking.com"-ის შეფასება 8-დან 10-მდე საკმაოდ კარგი შეფასებაა და სავარაუდოა რომ ყველა სასტუმრო ამაზე განსაკუთრებულად ზრუნავს, რადგან სასტუმროთა ბიზნესი მთლიანობაში შეფასებებით „იკვებება" და ვითარდება.

როგორც ცხრილი N1-დან ჩანს ძირითადი მინიმალური სერვისები, როგორებიცაა ინდივიდუალური კომფორტული აბაზანა ნომერში აღჭურვილი ელექტრო თმის საშრობით, საშხაპითა და ხშირ შემთხვევაში აბაზანითაც, ყველა სასტუმროშია. ასევე ყველა მათგანს გააჩნია ინდივიდუალური კონდიცირება ოთახებში, უსადენო უფასო ინტერნეტი და ტელევიზორი საკაბელო ტელევიზიით. ყველა სასტუმროს ნომრის საფასურში შედის დილის საუზმე. თანამედროვე ელექტროგასაღების სისტემა, რაც გულისხმობს ბარათებით ნომრის გაღებას, ნაცვლად სტანდარტული გასაღებისა, აქვს მხოლოდ ერთ სასტუმროს - სავანეთს. ამ სასტუმროსავე ლუქს-ნომერშია განთავსებული სასწორი - სტუმრების მეტი კომფორტისთვის.

თავი 4.1. საკურორტო სასტუმროების განვითარების თავისებურებანი კახეთში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კახეთის რეგიონში უამრავი სასტუმროა, უმრავლესობა პატარა ზომის და საოჯახო ტიპისაა, და შედარებით ბიუჯეტურიც. ისინი ხშირად ოჯახური მარნების ბაზაზეა წარმოქმნილი და მის ფუნქციონირებასაც კონკრეტული ოჯახი ახორციელებს. ზოგადად საქართველოს მასშტაბით სასტუმროთა ასეთი თავმოყრა მხოლოდ აჭარის რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. კახეთი მართლაც რომ გამორჩეული და უნიკალური ადგილია ამ მხრივ და ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. პირველი ეს არის კახეთის სიახლოვე დედაქალაქთან, რომელსაც, ასევე რიგი მიზეზების გამო, ტურისტი გვერდს არ და ვერ უვლის. თბილისი უდიდესი ისტორიის მატარებელი ულამაზესი არქიტექტურის მქონე დედაქალაქია, რომელიც მიუხედავად მისი სიძველისა ტოლს არ უდებს სხვა ევროპულ ქალაქებს; აქ მდებარეობს ქვეყნის ყველაზე დიდი აეროპორტი, რომლის მეშვეობითაც ტურისტები სტუმრობენ ქვეყანას და აქედან იწყებენ ქვეყნის სხვა რეგიონებში მოგზაურობას. კახეთი ყველაზე მონახულებადი და ახლომდებარე ადგილია ძველი დედაქალაქი მცხეთის შემდეგ. მეორე ფაქტორია ის, რომ კახეთის ტერიტორიაზე უამრავი ისტორიული ძეგლი, ეკლესია-მონასტერი, ციხე-კოშკი, მუზეუმი, ტბა, ნაკრძალი თუ დაცული ტერიტორია, მაღალი კლასის სასტუმროთა მთელი კასკადი და სხვა ტურისტული ატრაქციაა, რაც ტურისტებს მათი მონახულებისკენ უბიძგებს. მესამე ფაქტორი კახელების სტუმართმოყვარე ბუნებაა, რითაც ისინი ოდითგანვე გამოირჩეოდნენ.

რაც შეეხება ნახსენებ სასტუმროთა კასკადს - განხილული თერთმეტი სასტუმროდან გეოგრაფიული რაიონების მიხედვით არათანაბარი განაწილება შეინიშნება: ოთხი მათგანი თელავის რაიონში მდებარეობს, სამი გურჯაანში, სამი ყვარელში და ერთი სიღნაღის რაიონში. ყველა მათგანი ქართულ რეალობაში ძვირადღირებულ სასტუმროთა კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ტურისტთა სიმცირეს არც ერთი უჩივის არც ერთ სეზონზე. ზემოთ ჩამოთვლილი სეგმენტაციით ეს სასტუმროები ბუტიკ-

სასტუმროს ტიპისაა (ანუ ზომით პატარა, 100 ნომრამდე). აღსანიშნავია, რომ ამ სასტუმროთაგან უმრავლესობას აქვს ღია საცურაო აუზი, რომელიც ბუნებრივია, სტუმრებს მხოლოდ წლის ცხელ სეზონზე ემსახურება. მხოლოდ სამ მათგანს აქვს დახურული აუზი. ესენია: „კაბადონი“, „ლოპოტა სპა რეზორტ“ და „ყვარლის ედემი“. იმ შემთხვევაში თუ, ყველა მათგანში იფუნქციონირებდა დახურული აუზი, ეს სეზონურობის პრობლემის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი ეფექტური ხერხი იქნებოდა. თუმცა გარდა აუზისა, არსებობს უამრავი ატრაქცია, რომლის პრაქტიკაში დანერგვასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებენ ჩვენი კვლევის ობიექტები. თუმცა, როგორც კვლევამ აჩვენა, ღონისძიებები ტარდება არა არასეზონზე, არამედ სეზონზე, როცა ტურისტები ისედაც აქტიურად ჩადიან რეგიონში. მნიშვნელოვანია, რომ სეზონის და პირობების მიხედვით დაიგეგმოს ისეთი გასართობი ღონისძიებები, რაც მიიზიდავს ტურისტებს.

უკვე აღინიშნა, რომ ღვინის მარანს ყველა სასტუმროში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სხვადასხვა ტიპის ღვინო და ყურძნის პროდუქტები -ეს სწორედ ისაა რის გამოც უამრავი ადამიანი სტუმრობს კახეთს. ღვინის ტურიზმით რეგიონი მართლაც გამორჩეული და ცნობილია, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

კახური კუთხე ადგილობრივი კერძებით ასევე ყველა სასტუმროსთვისაა დამახასიათებელი. გარდა ტრადიციული კერძებისა, უმრავლესობა სტუმრებს ასევე სთავაზობს შვედურ მაგიდას, როგორც საუზმისთვის, ასევე სადილ-ვახშმისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზოგიერთი სასტუმროს პატარა ზომისა, მათ აქვთ მინიმუმ ორ-ორი რესტორანი და ბარი. ასევე ყველა მათგანს აქვს საბანკეტო დარბაზი სადღესასწაულო მომსახურებით.

კახეთი რთველის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ სტუმრებს სთავაზობენ საკუთარი ხელით ყურძნის დაკრეფვას და შემდეგ ასევე დაწურვაში მონაწილეობის მიღებას. ეს სასტუმროს ფასიან სერვისთაგან გამორჩეული და ეგზოტიკურია უცხოელი ტურისტებისთვის. ეწყობა ასევე „თათარაობა“, რაც გულისხმობს პირდაპირ სტუმრის

თვალწინ თათარის მოდუღებას და ჩურჩხელის ამოვლებას. სტუმარს სურვილისამებრ ამ პროცესშიც შეუძლია მონაწილეობის მიღება.

სპა, საუნა, ველნესი, ფიტნესი, სატრენაჟორო დარბაზი, რუსული და თურქული აბანოები- თითქმის ყველა სასტუმროს აქვს ჩამოთვლილი განთტვირთვის საშუალებანი. გამორჩეულად უნდა აღინიშნოს „შუხმან ვაინს შატო ენდ სპა“ და „ყვარლის ედემი“ - აქ სტუმრებს შეუძლიათ ღვინის სპით სარგებლობა, რაც მოიცავს ანტიოქსიდანტური წითელი ღვინის გამაჯანსაღებელი პროცედურებს, მასაჟს ყურძნის წიპწის ზეთით, ან თუნდაც შავი შოკოლადისა და წითელი ღვინის თერაპიას.

ყველა სასტუმროში დამატებით სერვისად აქვთ ტურები ყველა გემოვნების ადამიანებისათვის სხვადასხვა მიმართულებებით.

სპორტული აქტივობა-სეზონურობასთან ბრძოლისას მნიშვნელოვანი ფაქტორია, ამიტომ საცხენოსნო და ველო და კვადრო ტურები, ბოულინგი, ბილიარდი, ჩოგბურთის კორტი, კალათბურთის და ფეხბურთის მოედნები, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ნარდისთვის განკუთვნილი დარბაზი სასტუმროებში ასევე ხელმისაწვდომია. სასტუმროთაგან გამოვარჩევდი „ამბასადორს“, რომელსაც აქვს წარმოდგენილი პატარა იპოდრომი კავკასიური ცხენებითა და პონებით. აღსანიშვნავია, რომ ამ საცხენოსნო მოედანს არაერთი ტურნირისთვის უმასპინძლია. სასტუმრო „ყვარლის ტბა“-ს გამოირჩევა ტბის პირას მდებარეობით, ამიტომ კატერი, წყლის თხილამურები და წყლის ველოსიპედი სტუმრების განკარგულებაშია. „კაბადონი“ს შემადგენლობაში სილამაზის სალონი შედის, რაც სხვა სასტუმროებს არ აქვთ, ღამის ცხოვრების მოყვარულთათვის „ლოპოტა სპა რეზორტი“ იდეალური ვარიანტია თავისი კარაოკე ბარით. აქვე ფუნქციონირებს კინოთეატრი ღია ცის ქვეშ.

საკონფერენციო დარბაზი ყველა სასტუმროში გვხვდება-ეს ჩვენი კვლევის ობიექტ სასტუმროთა ერთ ერთი მნიშვნელოვანი სერვისია და სეზონურობის პრობლემის გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

თავი 4.2. კვლევა საკურორტო სასტუმროთა შესახებ

რაც შეეხება უშუალოდ კვლევას, აღწერილი 11 სასტუმროდან კვლევაში მონაწილეობა მხოლოდ შვიდმა მათგანმა მიიღო. დანარჩენი ოთხი სასტუმროს მხოლოდ ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი მონაცემებია წარმოდგენილი, რადგან არ მიუღიათ მონაწილეობას ინტერვიუში სხვადასხვა მიზეზით.

დიაგრამა N:1

როგორც დიაგრამა N:1-დან ჩანს სტუმართა ყველაზე მეტი რაოდენობას ბოლო ერთი წლის მანძილზე უმასპინძლა სასტუმრო „შუხმან ვაინს შატო ენდ სპამ“ – 22000 კაცი, ხოლო ყველაზე ცოტას - „ყვარლის ედემმა“. ცოტა უცნაური განსხვავებაა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ მათგანში სულ 20 ნომერია, ხოლო მეორეში 47.

ცხრილი N:1

საზღვარგარეთის ქვეყნები, საიდანაც ჭარბობენ ტურისტები.						
მაროშენი	**ყვარლის ტბა**	**შატო მერე**	**ყვარლის ედემი**	**როიალ ბატონი**	**სავანეთი**	**შუხმან ვაინს შატო ენდ სპა**
რუსეთი	რუსეთი	აშშ	რუსეთი	რუსეთი	რუსეთი	გერმანია
საუდის არაბეთი	ისრაელი	ჩინეთი	გერმანია	აზერბაიჯანი	უკრაინა	შვედეთი
ჩინეთი	პოლონეთი	ინდოეთი	ჩინეთი	გერმანია	ისრაელი	
გერმანია	უკრაინა	რუსეთი	იაპონია	ნორვეგია	სომხეთი	
საფრანგეთი	გერმანია			აშშ	აზერბაიჯანი	
პოლონეთი				კორეა		
ნიდერლანდები						

როგორც ცხრილიდან ჩანს, ჩამოსულ ტურისტებში ჭარბობენ რუსები, პოლონელები, აზერბაიჯანელები, ჩინელები და ევროპის სხვადასხვა ქვეყანათა წარმომადგენლები.

ვიზიტის საშუალო ხანაგრძლივობა ერთიდან სამ დღემდეა (იხ. დიაგრამა N:2). აღსანიშნავია, სტუმართა 80-85% სასტუმროებს სტუმრობს აპრილიდან ნოემბრამდე.

რაც შეეხება სტუმართა შორის პოპულარულ დამატებით სერვისებს, თითქმის ყველა სასტუმროში უპირობოდ ლიდერობს ღვინის დეგუსტაცია და კულინარიული მასტერკლასები, როგორებიცაა მწვადის შეწვა, პურის ცხობა, არყის გამოხდა, ჩურჩხელების ამოვლება, რთველი(იც. ცხრილი N:2).

დიაგრამა N:2



ცხრილი N:2

პოპულარული დამატებითი სერვისები						
მაროშენი	ყვარლის ტბა	შატო მერე	ყვარლის ედემი	როიალ ბატონი	სავანეთი	შუხმან ვაინს შატო ენდ სპა
ღვინის დეგუსტაცია	პურის ცხობა	*	ბოულინგი (ერთად-ერთია რეგიონში)	ღვინის დეგუსტაცია	აუზი და საუნა	კულინა-რიული მასტერ-კლასები
კულინარი-ული მასტერ-კლასები	ჩურჩხელების ამოვლება		ღვინო-თერაპიის სპა	კულინარიული მასტერ-კლასები		ექსკურსი-ები
რთველი	მწვადის შეწვა			ველო-ტურები		
	არყის გამოხდა					
	ღვინის დეგუსტაცია					

*პასუხისგან თავი შეიკავეს.

დიაგრამა N:3



დიაგრამა N:4



სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობა 10-დან 60 ადამიანამდე მერყეობს(იხ. დიაგრამა N:3), თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტესობა სასტუმროები აქტიურ სეზონზე იმატებენ კადრებს. დასაქმებულთა ხვედრითი წილი კი გადმოცემულია დიაგრამა N:4-ში, რომლის მიხედვითად ყველაზე ცოტა ადგილობრივი კადრი დასაქმებულია სასტუმრო მაროშენში, 100%-ით ადგილობრივი კადრებით კი ფუნქციონირებს სასტუმრო „შატო მერე“. ყველა სასტუმროს თანამშრომლებს გავლილი

აქვთ სპეციალური მომზადება, სასტუმრო „სავანეთის“თანამშრომლების მხოლოდ ნაწილია სპეციალურად დატრენინგებული და შემდეგ ისინი ადგილზე ახორციელებენ დანარჩენი კადრების მომზადებას, ხოლო სასტუმრო „შუხმან ვაინს შატო ენდ სპას“ წარმომადგენლის განცხადებით, მათ კადრებს ყოველწლიურად, ზამთარში უტარდებათ ტრენინგი. ინტერვიუირების დროს ერთ-ერთ შეკითხვას წარმოადგენდა ფასდადების პოლიტიკა, თუმცა ამ შეკითხვაზე პასუხი ყველამ არ გასცა. გამოიკვეთა, რომ ფასებს განაპირობებს სეზონურობა, მოთხოვნის არსებობა ბაზარზე და კონკურენტი სასტუმროების ფასები.

დასკვნა

საქართველოს საკმაოდ დამაიმედებელი ტურისტული პოტენციალი აქვს ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით და ეს ჩემს ნაშრომშიც ნათლად გამოჩნდა. ეს პერსპექტივები გლობალური ტურისტული ბაზრისთვის ძალიან მიმზიდველია. ტურისტული სფეროს გრძელვადიანი წარმატება ზოგადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პოზიტიური იქნება ის გამოცდილება, რასაც ტურისტი საქართველოში ჩამოსვლიდან საქართველოდან წასვლამდე შეიძენს. ტურიზმის განვითარება ასევე დამოკიდებული იქნება სწორედ იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება შემუშავებული დარგის განვითარების სტრატეგია საწყის ეტაპზე.

კახეთის ტურიზმს, როგორც უკვე აღინიშნა კიდევაც, მნიშვნელოვანი ნიშა უჭირავს საქართველოს ტურიზმში და თავისი მონაცემების მიხედვით განვითარების დიდი პერსპექტივაც აქვს. რესურსების გამოყენება და ათვისება ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, არამარტო ტურიზმში არამედ სხვა სფეროებშიც ამიტომ მთავარი და მნიშვნელოვანია რესურსების რაციონალურად გამოკვლევა და გამოყენება, ბუნებისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

მიუხედავად იმისა რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, განვითარების ასევე არცთუ ისე დიდი შესაძლებლობებით, ტურიზმი ჩვენს ქვეყანაში არსებობის და განვითარების მრავალ წელს ითვლის და მიუხედავად მრავალი პრობლემისა, განვითარების კიდევ უფრო ფართო პერსპექტივა აქვს. როგორც ნაშრომში აღინიშნა სასტუმრო ინდუსტრია

რთული ურთიერთდამოკიდებული კომპლექსია, შესდგება ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი ჯაჭვისგან.

არსებული ინფორმაცია ცხადყოფს კახეთის რეგიონის დიდ პერსპექტივას ტურიზმის სფეროში. კახეთში ყველაფერია იმისთვის რომ იყო მიმზიდველი სხვადასხვა ინტერესის სფეროს მქონე ტურისტებისათვის და კიდევ მრავალი წელი დარჩეს მნიშვნელოვან ტურისტულ ატრაქციად.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე, კ. (2015). სასტუმრო საქმის საფუძვლები . თბილისი.

კახეთი. (2018). Retrieved from www.wikipedia.org: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98

კურორტი. (2018). Retrieved June 9, 2018, from www.wikipedia. org: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98

მეღვინეობა კახეთში. (2018). Retrieved June 10, 2018, from http://www.nplg.gov.ge: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=ekonomik&cl=CL1.4&d=HASH019698812e6bdbc596b53

(n.d.). ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2016 წლის ანგარიში. tbilisi: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

akhasheni wine resort. (2018, June 9). Retrieved from www.akhasheniwineresort.com: https://www.akhasheniwineresort.com/

Conference and resort hotels. (2018, June). Retrieved 2018, from www.wikipedia.org: https://en.m.wikipedia.org/wiki/Conference_and_resort_hotels

kabadoni. (2018, June 9). Retrieved from http://kabadoni.ge/: http://kabadoni.ge/

kachretis ambasadori. (2018). Retrieved June 9, 2018, from http://www.ambassadori.com/kachreti: http://www.ambassadori.com/kachreti

kakheti. (n.d.). Retrieved from https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/ka: https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/ka

kakheti. (2018, april). Retrieved from https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/: https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/ka

kakhetis mxare. (n.d.). Retrieved from www.wikipedia.org: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9B%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94

kvalis edemi. (2018). Retrieved from http://www.kvarelieden.ge/geo/home: http://www.kvarelieden.ge/geo/home

kvareli lake resort and spa. (2018). Retrieved 2018, from www.mgroup.ge: http://www.mgroup.ge/ge#kurorti_qvarlis_tba

lopota lake resort and spa. (2018, June 9). Retrieved from www.lopota.ge: https://www.lopota.ge/ka

marosheni. (2018). Retrieved June 9, 2018, from www.facebook.com: https://www.facebook.com/MarosheniResort/

Resort. (2018). Retrieved June 9, 2018, from www.wikipedia.org: https://en.wikipedia.org/wiki/Resort

resort hotel industry concept. (2018, June). Retrieved June 10, 2018, from www.xotels.com: https://www.xotels.com/en/glossary/resort-hotel

royal batoni. (2018). Retrieved June 9, 2018, from http://www.batoni.ge/: http://www.batoni.ge/index.php?page=rooms

savaneti. (2018). Retrieved June 9, 2018, from www.savaneti.com: http://www.savaneti.com/ka/about-us-ge

schuman wines shateau and spa. (2018). Retrieved June 9, 2018, from http://www.schuchmann-wines.com/hotel/: http://www.schuchmann-wines.com/hotel/

shato mere. (2018). Retrieved from www.mere.ge: https://mere.ge/chateau_mere/id/1/chateau-mere.html

Stoynov, D. (2010). IZVESTIA – Journal of University of Economics – Varna, Econ Lit – L 830. IZVESTIA. Retrieved June 2018, from file:///C:/Users/Maka/Downloads/resort%20hotels/20150330122555_1236809336551940d3e77b4.pdf

Tito Antonio Ofilada, J. (2013). www.slideshare.net. Retrieved June 2018, from www.slideshare.net: https://www.slideshare.net/tofujay/resort-management-1-18591469

turizmis ganvitareba. (n.d.). Retrieved from https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/home: https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/sakartvelo-da-turizmis-ganvitareba/turizmis-ganvitarebis-istoria-sakartveloshi

დანართი

ღირსშესანიშნაობები:

ალავერდი (X-XVII სს.),

ალვანი (VIII-IXსს.),

ბაიხოს სამება (VII ს.),

კვეტერას ციხე-სიმაგრე და ჯვარგუმბათოვანი ეკლესია (VIII-XI სს.),

მატანის ციხე (XVIII ს.),

გურჯაანის ყველაწმინდა (VIII ს.),

ვაზისუბნის ორმოცნი (VI ს.),

ვაჩნაძიანის ყველაწმინდა (VIII-IXსს.),

ვეჯინის სამონასტრო კომპლექსი (X-XI სს.),

ზეგაანის ყველაწმინდა (V-VII სს.) და წმ. მარინეს ეკლესია (V ს.),

კარდენახის საბაწმინდა (VI-XIV სს.),

სანაგირეს სამეკლესიანი ბაზილიკა (X-XVI სს.),

ჭერემის ციხე-ქალაქი (V ს.),

წერმის სამეკლესიანი ბაზილიკა (X-XI სს.) და სასახლე (VIII-IX სს.),

ხორაუგის ქვაბთა სისტემა (X ს.),

ვაზიანის ამაღლება (X ს.),

ხორნაბუჯის ციხე-ქალაქი (V ს.),

აკურას სამნავიანი ბაზილიკა (IX ს.),

ხალი შუამთა (XVI ს.),

ვანთა ხუროთმოძღვრული კომპლექსი (VIII-IX სს.),

ბატონის ციხე (XVII ს.),

იყალთოს მონასტერი და აკადემია (VI-XIIსს.),

კირისხევის ღვთისმშობლის ეკლესია (VI-VII სს.),

კონდამიანის უდაბნო და სამონასტრო კომპლექსი (VI ს.),

ძველი შუამთა (V-VII სს.),

ლელიანის სამონასტრო კომპლექსი (X-XI სს.),

ბერების სერი,გამოქვაბულთა კომპლექსი (VI-VIII სს.),

დავით-გარეჯა (VI-XVIII სს.),

კაწარეთის სამნავიანი ბაზილიკა (V-VI სს.),

ნაომარი გორა (ძვ. წ. II-I ათასწლ.),

საგარეჯოს წმ. პეტრეს და წმ. პავლეს დარბაზული ეკლესია (XVIII ს.),

მანავის გუმბათიანი ეკლესია (XVIII ს.),

მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი (VI-XIX სს.),

ნინოწმინდას სამონასტრო კომპლექსი (VI ს.),

ციხე-ქალაქი უჯარმა (IV ს.),

ბოდბის სამონატრო კომპლექსი (IV-IX სს.),

ციხე-ქალაქი სიღნაღი (XVIII ს.),

ხირსას მამათა მონასტერი (VI ს.),

გრემი (XVI ს.),

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი (IV-IX),

ნეკრესის წინაქრისტიანული სამლოცველო (ძვ.წ. II ს.),

ყვარლის ციხე (XVI-XVII სს.),

ყვარლის ნათლისმცემლის ეკლესია (XIX ს.),

აღდგომის ტაძარი (XVI-XVII სს.),

ძველი გავაზის ღვთისმშობლის ტაძარი(V-VI სს.),

შილდას ნახევრად მიწაში ჩაფლული ტაძარი, თელავის ძველი გალავანი (VIII-IX სს.)

ხაშმის სამნავიანი ბაზილიკა (V-VI სს) და სასახლე (IX-X სს.),

დუბის დედათა მონასტერი (VI ს.),

უძველესი ნაქალაქარი სოფელ მთისძირში,

ჯანდიერაანთ ციხე, მანავის ციხე(შუა საუკუნეები),

ახმეტის ოთხკუთხა კოშკი,

ჩაილუირის ციხე-გალავანი (შუა საუკუნეები),

ილიას ქანდაკება ილიას გორაზე (ყვარელი),

დურუჯის ხეობის ლოდი,

ყვარლის ღვინის გვირაბი,

ყვარლის საფუტკრეები და ფიქალები,

უდაბნოს სვეტი,

ქილაკუპრი და ფორფოტები (ტალახის ვულკანები).

მუზეუმები:

ვაჩნაძიანის ისტორიული მუზეუმი (სოფ.ვაჩნაძიანი, გურჯაანის რ-ნი),

თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (თელავი),

გ. ლეონიძის სახლ-მუზეუმი(პატარძეული,საგარეჯოს რ-ნი),

ვ. სარაჯიშვილის (სიღნაღი),

ვ. გოძიაშვილის (სიღნაღი, სოფ. ვაქირი),

ილო მოსაშვილის (სიღნაღი, სოფ. ვაქირი),

ი. ევდოშვილის (სიღნაღი, სოფ. ბოდბისხევი),

ს. მირიანაშვილის (სიღნაღი),

ს. შანშიაშვილის (სიღნაღი, სოფ. ჯუგაანი),

ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმი (დედოფლისწყარო, სოფ. მირზაანი),

ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმ (გურჯაანი, სოფ. გურჯაანი),

ი. ჭავჭავაძის მუზეუმი (ყვარელი),

მარჯანიშვილის მუზეუმი (ყვარელი),

ახმეტის,

გურჯაანის,

დედოფლისწყაროს,

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

დაცული ტერიტორიები:

ვაშლოვანის ეროვნული პარკი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი),

თუშეთის ეროვნული პარკი (ახმეტის მუნიციპალიტეტი),

ილტოს აღკვეთილი (ახმეტის მუნიციპალიტეტი, შედის ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში),

ყორულის აღკვეთილი (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, შედის მარიამჯვრის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში),

ლაგოდეხის აღკვეთილი (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი),

ივრის აღკვეთილი (სიღნაღის აღკვეთილი),

ჭაჭუნის აღკვეთილი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი)(kakheti, 2018).

სასტუმროთა შედარება მომსახურების მიხედვით (ცხრილი N:3)

[redacted] მომსახურება [redacted] დასახელება	Booking.com-ის შეფასება*	ნომრების რაოდენობა	ფასი	უფასო ინტერნეტი და ტელევიზორი	თმის საშრობი	კონდიციონერი	ღია საცურაო აუზი	ხალათი	პარფიუმერია	დილის საუზმე	ტელევიზორი	სეიფი
„ლოპოტა სპა რესორტ“	8.7	102	443-945 GEL	–	–	–	–	–	–	–		
„ახაშენი ვაინ რეზორტ“	9.7	41	110-120 USD	–	–	–	–		–	–		
„კაბადონი“	8.9	21	94-354 USD	–	–	–			–	–		
კაჭრეთის „ამბასადორი“	7.8	75	280-1475 GEL	–	–	–	–		–	–	–	
„მაროშენი“	9.1	12	190-284 GEL	–	–	–	–		–	–		–
„სავანეთი“	8.2	57	191-3254 GEL	–	–	–	–	–	–	–	–	–
„ყვარლის ედემი“	8.5	47	250-650 GEL	–	–	–				–	–	–
„შატო-მერე“	8.3	15	255-410 GEL	–	–	–	–			–		
„ყვარლის ტბა“	8.7	20	231-357 GEL	–	–	–	–			–		

„შუხმან ვაინს შატო ენდ სპა“	8.9	20	221-490 GEL	–	–	–	–			–	–	
„როიალ ბატონი“	8.5	31	დაახლ. 333 GEL	–	–	–	–	–	–		–	

*-Booking.com-მნიშვნელოვანი ტურისტული პორტალი,რომელზეც სასტუმროთა რეიტინგებია მოცემული. ეს რეიტინგები დგება სხვადასხვა მომსახურებების კლიენტთა შეფასებების მიხედვით.

ფოტოები:

დავით გარეჯის მონასტერი (VI ს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)

გომბორის უღელტეხილი

გრემი (XVI ს. ყვარლის მუნიციპალიტეტი)



„ლოპოტა ლეიქ რეზორტ ენდ სპა“(თელავი)

სასტუმრო „ახაშენი ვაინ რეზორტ“(გურჯაანი)

სასტუმრო „კაბადონი“(სიღნაღი)

სასტუმრო „ამბასადორი“(კაჭრეთი, გურჯაანი)



სასტუმრო „მაროშენი“ (გურჯაანი)



სასტუმრო "სავანეთი"(იყალთო, თელავი)

სასტუმრო „ყვარლის

ედემი“(ყვარელი)





სასტუმრო „შატო მერე“

(ვარდისუბანი,თელავი)

სასტუმრო „ყვარლის ტბა“(ყვარელი)

სასტუმრო „შუხმან ვაინს შატო ენდ სპა“(კისისხევი, თელავი)

სასტუმრო „როიალ ბატონი“(ყვარელი)

კახეთის სასტუმროები
N
W
E
S
პირობითი აღნიშვნები
სასტუმრო
დასახლებული პუნქტი
მხარის ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
დაბა
საზღვრები
სახელმწიფო
რეგიონიე
გზები
ავტომაგისტრალი
გზატკეცილი
3840
მ.ამუგო
3578
მ.შავი კლდე
3116
მ.ნინიკასციხე
ახმეტა
გრემი
თელავი
ყვარელი
ლაგოდეხი
1991
მ.ცივი
საგარეჯო
გურჯაანი
966
მ.ნატახტარი
სიღნაღი
წნორი
დედოფლისწყარო
863
მ.სიჩხიმი
მ.ზილჩა
845
მუნიციპალიტეტები
თელავი
ახმეტა
დედოფლისწყარო
გურჯაანი
ლაგოდეხი
საგარეჯო
სიღნაღი
ყვარელი
0
8
16
24
32
კმ
04.07.18

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Maka Ketselashvili

Pecularities of Resort Hotels Development in Kakheti Region

Human Geography

The Master Thesis is submitted for Human Geography Master Degree

Supervisor: Nino Pavliashvili

Associate Professor

Tbilisi

2018